ენათმეცნიერება Linguistic

საქართველოს ებრაელთა მულტილინგვიზმი[1]

თამარ ლომთაძე
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: tamrikolomtadze@uahoo.com
დავით ბოთერა (ბოთერაშვილი)
ხაიფას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხაიფა,ისრაელი
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.03
SJIF 2026: 8.679

საქართველოში მაცხოვრებელი ებრაელები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ: ქართველი ებრაელი, აშქენაზები და მიზრახთა განშტოებანი - ქურთისტანელი ე.წ. ლახლუხი ებრაელები და მთიელი, ე.წ. ყუბელი ებრაელები. ბუნებრივია, ისინი სხვადასხვა ენას ფლობდნენ, რომლებსაც შერჩევითად იყენებდნენ და იყენებენ განსხვავებულ სიტუაციებში მათი ეთნიკური წარმომავლობისა და საცხოვრებელი გარემოს შესაბამისად.

ქართველი ებრაელების ძირითადი ენა საქართველოში უმეტესად ქართული იყო. თემის შიდა საკომუნიკაციო ებრაელთა ქართულს იყენებდნენ, ხოლო ებრაული იყო რელიგიისა და ლოცვის ენა. რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მათ დიდ ნაწილს რუსულზე გადასვლის საშუალება მისცა. აფხაზეთის, ცხინვალის, ახალციხისა და სამეგრელოს ტერიტორიებზე მოსახლე ებრაელებმა დაბალი ან საშუალო კომპეტენციით იცოდნენ აფხაზური, ოსური, სომხური, მეგრული.

აშქენაზი ებრაელებისათვის მშობლიური ენა უმეტესად იყო რუსული, უფროსი თაობისათვის იდიშიც რუსულთან ერთად. მათ შედარებით დაბალი კომპეტენციით იცოდნენ ქართული. ქართულის ცოდნის დონე განსახლების ადგილზეც იყო დამოკიდებული. ცხინვალსა და აფხაზეთში მოსახლეებმა საშუალო ან დაბალი კომპეტენციით ოსური და აფხაზურიც იცოდნენ.

მიზრახთა ერთ-ერთი განშტოების ქურთისტანელი ე.წ.ლახლუხების საოჯახო ენა იყო ნეო-არამეული (სალმასის დიალექტი), უფროსმა თაობამ ასევე იცოდა სპარსული და ზოგჯერ არაბული. საქართველოში მათ საკმაოდ კარგად შეისწავლეს რუსულიცა და ქართულიც.

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის ნომერი FR-25-4446 „ ებრაელთა ქართულის დოკუმენტაცია II“

მთიელი, ე.წ. ყუბელი ებრაელების მშობლიურ ენად საქართველოში რუსული ითვლებოდა, თუმცა ბევრი მათგანი საოჯახო ენად იყენებდა ჯუხურს, ხოლო ლოცვის ენად ებრაულს.

ისრაელსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მიგრირების შემდეგ იერარქიის სათავეში მოექცა იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენა, რომელშიც ცხოვრობენ: ისრაელში ებრაული, ამერიკაში ინგლისური, ავსტრიაში - გერმანული, რუსეთში -რუსული და ა. შ. სხვადასხვა ქვეყანაში მაცხოვრებლებმა ასევე კარგად იციან ივრითიც.

ქართული და რუსული, ასევე ზოგჯერ იდიში, ჯუხური, ნეო-არამეული დარჩა მემკვიდრეობით ენად. თუმცა ინგლისურის როგორც ლინგვა ფრანკას ზეწოლამ და აქტიურმა გლობალიზაციამ ძალიან შეამცირა და თითქმის აღარ ხდება ახალ თაობაზე მემკვიდრეობითი ან საოჯახო ენების გადაცემა. აფხაზური, ოსური, მეგრული, სომხური, სპარსული მთლიანად დაიკარგა.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები, მულტილინგვიზმი

საერთაშორისო ებრაულ საზოგადოებას საერთო ებრაული ისტორია, რიტუალები, კანონები და ღირებულებები აერთიანებს, თუმცა ებრაული თემების ისტორიები და მათი კონტაქტები სხვა კულტურულ გავლენებთან განასხვავებს ებრაულ ეთნიკურ ჯგუფებს, რაც თითოეულს აძლევს ებრაელობის უნიკალურ იდენტობას. ებრაელებს შორის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფებია:

- აშქენაზები - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე უკრაინისა და რუსეთის ებრაელობა.
- სეფარდები - ესპანეთისა და პორტუგალიის, შემდეგ კი ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმოფანტული ებრაელები. სეფარდი ებრაელი სიტყვასიტყვით ნიშნავს ესპანელ ებრაელს, სიტყვიდან *სფარად*, რაც ებრაულად ნიშნავს ესპანეთს. ეს სიტყვა ასევე გვხვდება ბიბლიის ძველი აღთქმის წიგნებში, აბდია 1:20. თანამედროვე რეალობაში ამ ტერმინმა თავისი ტრადიციული მნიშვნელობა დაკარგა, მისი შინაარსიც გაფართოვდა და დღეს იგი თავისუფლად გამოიყენება ნებისმიერი ებრაელის აღსანიშნავად, რომლებიც სეფარდული ტრადიციების მატარებელია.
- მიზრახებად წოდებული ებრაელები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომელიც ფართო გაგებით მოიცავს სპარსელ, არაბ, ეთიოპელ, ბუხარელ, მთიელ, ქურთისტანელ ებრაელებს.
- ასევე, სხვა ეთნიკური ჯგუფებს წარმოადგენენ ინდოელი ებრაელები, რომაელები, იტალიელი ებრაელები (რომიმები) და სხვანი (გულედანი 2019:25-26).

საქართველოში მაცხოვრებელი ებრაელები ყოველთვის მულტილინგვიზმით გამოირჩეოდნენ, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები ჰქონდა:

- საქართველოს ებრაელები, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მსოფლიოში არსებულ სამ უმსხვილეს ეთნიკურ დაჯგუფებას – ე.წ. ქართველ ებრაელობას, აშქენაზებსა და მიზრახთა განშტოებებს წარმოადგენდნენ, თავისთავად გულისხმობდა მათ მიერ სხვადასხვა ენის ფლობას;
- მუდმივი გარე და შიდა მიგრაციები სხვადასხვა ენის/ენობრივი ნაირსახეობის შეთვისებას განაპირობებდა.
- მათი ცხოვრების სტილი სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვა ენის/ენობრივი ნაირსახეობის გამოყენებას მოითხოვდა;
- ოჯახები ხშირად წინასწარ, გამიზნულად გეგმავდნენ შვილების მრავალენიანობას.

ქართველი ებრაელები ისრაელში რეპატრიაციამდე. სტატისტიკური აღწერები ებრაელთა რაოდენობის შესახებ საქართველოში მეცხრამეტე საუკუნიდან გვაქვს. 1832 აღწერის მიხედვით საქართველოში 4,000 ებრაელია, რაც საერთო მოსახლეობის 0.5% შეადგენს. 1865 წლის აღწერის მიხედვით 7,800; - საერთო მოსახლეობის 0.6%; 1886 წლის აღწერა - 11,700/ საერთო მოსახლეობის 0.7%; 1897 წელი - 17,200/ მოსახლეობის 0.9%; მეოცე საუკუნის 1926 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში 30,389 ებრაელია, რაც საერთო მოსახლეობის 1.1პროცენტია. 1939 წელი - 42,300, მოსახლეობის 1.2 პროცენტი; 1959 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 51,582 ებრაელია, საერთო მოსახლეობის 1.3%; 1970 წელი - 55,382 მოსახლეობის 1.2%; 1979 წელი - 28,298, რაც საერთო მოსახლეობის 0.6%-ია; 1989 წელს 24,795 ებრაელია, მოსახლეობის 0.5%; 2002 წელს მხოლოდ 2,333, ხოლო 2014 წელს -1,405 (ლევინი, კონსტანტინოვი 2025:162-182).

ტერმინი *ქართველი ებრაელი* (სეფარდული ტრადიციის მატარებლები) გამოიყენება საქართველოში ისტორიულად ყველაზე ხანგრძლივი თანაცხოვრების მქონე ებრაელების აღსანიშნავად, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის პირველი ტაძრისა და სამეფოს დაპყრობის შემდეგ, უნდა გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში. ამას ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მეორე დიდი ტალღა უნდა მოჰყოლოდა (იხ. ყაუხჩიშვილი1955:15-16, 1973:53, მელიქიშვილი 1970:452-453, მამისთვალაშვილი 1995:22, ლომთაძე 2005:63, ლომთაძე ენოხი 2019:1-4, ლომთაძე კვირიკაშვილი 2024:83-85). ენობრივი სხვაობა პირველი და მეორე ტალღის ებრაელებს შორის არსებითია: პირველი ტალღის ებრაელები საქართველოში ებრაული ენით უნდა მოსულიყვნენ, ხოლო მეორე ტალღისა - არამეული ენით, რადგან ამ დროს პალესტინაში ებრაულად უკვე აღარ საუბრობდნენ, მას მხოლოდ ლოცვის ენად იყენებდნენ და არამეული იყო ლინგვა ფრანკა რეგიონში (ლომთაძე, გულედანი 2022). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქართველი ებრაელების ენები საქართველოში მოსვლისა და დამკვიდრების პერიოდში უნდა ყოფილიყო ებრაული და არამეული.

მართალია, მომდევნო პერიოდის წყაროები ებრაელთა ენობრივ მდგომარეობაზე ცნობებს თითქმის აღარ გვაძლევს, მაგრამ XI-XII საუკუნეებში არსებული თორის ზეპირი თარგმანი (თავსილი) სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ებრაელთა უმეტესობამ ამ პერიოდისათვის ებრაული კარგად უკვე აღარ იცოდა და მხოლოდ ლოცვის ენად იყენებდა. ამასთანავე ისიც ფაქტია, რომ მორწმუნე, რელიგიური ებრაელები ბიბლიის ებრაულის ცოდნას ყოველთვის ინარჩუნებდნენ. თავსილის ანალიზი, რომელიც შემოგვთავაზა რეუვენ ენოხმა, შემდეგია: თავსილი თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი გზით და მისი შექმნის თარიღი დაახლოებით XII საუკუნე უნდა ყოფილიყო. თავსილში დადასტურებული ენობრივი თავისებურებები აჩვენებს, რომ იმ დროისათვის უკვე ებრაელები ქართულზე დამყარებულ ენობრივ ნაისრსახეობას იყენებდნენ, რომელიც ებრაულ-არამეული სიტყვების გამოყენებითა და ზოგიერთი გრამატიკული ნიშნით იყო განსხვავებული ქართულისაგან (ენოხი 2008).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებულ იეშიბებში (ებრაულ სკოლებში), სადაც ებრაული ისწავლებოდა, იმაზე მიანიშნებს, რომ ებრაული ენა საქართველოში ყოველთვის არსებობდა. ებრაულის მცოდნეთა არსებობას ადასტურებს ასევე ებრაული ეპიტაფიების არსებობა საქართველოში XVIII, XIX, XX საუკუნეების ებრაელთა საფლავებზე (ბაბალიკაშვილი 1971), ებრაულს თავშესაფარი მისცა ასევე ქართულის საფუძველზე შექმნილმა ებრაელთა ქართულმა, რომელიც უხვად შეიცავდა რელიგიასთან, ადათ-წესებთან, ტრადიციებთან დაკავშირებულ ებრაიზმებს. ებრაულის საფუძველზე შეიქმნა საიდუმლო-სავაჭრო ენა XIX-XX საუკუნის საქართველოში. ამ პერიოდში საქართველოში უკვე

ცხოვრობენ აშქენაზი ებრაელები. პაპისმედოვის (პაპისმედოვი 1945) მიერ დამოწმებული სავაჭრო ენისათვის დამახასიათებელი ებრაიზმების ანალიზი გვაჩვენებს, რომ მასში არსებულ სიტყვათა ერთი ნაწილი სწორედ აშქენაზური წარმოშობის უნდა იყოს (ქსივა) (დუმბაძე 1979:28-37).

XX საუკუნის დასაწყისში ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებდა, რომ ქართველი ებრაელები ებრაული ენით ლოცულობდნენ, ხოლო ქადაგებისთვის და საკომუნიკაციოდ ქართულს იყენებდნენ (ჭიჭინაძე 1970). თუმცა XX საუკუნის დასაწყისში (1920-30-იანი წლები) როზა თავდიდიშვილის მიერ ქუთაისელ ებრაელებთან ჩაწერილი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ მასალა გვაჩვენებს, რომ ებრაელებს ჰქონდათ არაებრაელი მოსახლეობისაგან განსხვავებული მეტყველება, რომელიც უხვად შეიცავდა ებრაიზმებს, არამეიზმებს, მიგრაციულ დიალექტიზმებს, არქაიზმებს და სხვა ლინგვისტურ თავისებურებებს (ლომთაძე 2019, ლომთაძე, ენოხი 2019) თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველებრივი ნაირსახეობა, ეფუძნება ქართულს, უფრო ზუსტად ქართულის რომელიმე დიალექტს, ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებებით და წარმოადგენს ქართულის ებრაულ ეთნოდიალექტს (გულედანი და სხვები 2022, ლომთაძე, კვირიკაშვილი 2024).

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის დიდი ისტორიული ფორმაციები მოხდა: იგი გათავისუფლდა რუსეთის იმპერიისაგან, მოიპოვა დამოუკიდებლობა მცირე დროით და შემდეგ გახდა საბჭოთა კავშირის ნაწილი. აღნიშნულმა გარემოებებმა საფუძველი ჩაუყარა ქართველ ებრაელთა შორის რუსულის გავრცელებას. მოგვიანებით, 50-60-იანი წლებიდან ებრაელთა ერთი ნაწილი რუსულზე გადავიდა. ბავშვები შეიყვანეს რუსულ ბაღებსა და სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად რუსეთში აბარებდნენ. მაგალითად, რუსული სამედიცინო განათლება უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა და პაციენტებიც უმეტესად ებრაელ ექიმებს მიმართავდნენ. რუსულის შესწავლა ასევე მნიშვნელოვანი იყო მათი ძირითადი საქმიანობისათვის - ვაჭრობა (ლომთაძე 2018: 329-335, ლომთაძე 2021:322-331).

ქართველი ებრაელები გამოირჩეოდნენ როგორც ებრაელებთან, ასევე არაებრაელ მოსახლეობასთან მეგობრობით. მათ საქართველოში მაცხოვრებელ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ყოველთვის ჰქონდათ კარგი დამოკიდებულება. სწორედ ებრაელების ცხოვრების წესსა და საქმიანობას უკავშირდებოდა ცხინვალელი ებრაელების მიერ ოსურის, აფხაზეთში მაცხოვრებლებისათვის აფხაზურის, ახალციხელი ებრაელებისათვის სომხურისა და სამეგრელოს ებრაელებისათვის მეგრულის შესწავლა. განსაკუთრებით მოვაჭრე ებრაელებს სჭირდებოდათ ნდობის მოსაპოვებლად ამა თუ იმ კუთხის მაცხოვრებელთა ენაზე საუბარი. როგორც ლევინი და კონსტანტინოვი მიუთითებს, 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს ებრაელობის 100 პროცენტი ცხოვრობდა ქალაქებში (ლევინი, კონსტანტინოვი 2025). თბილისში, ახალციხესა თუ ქუთაისში, სოხუმსა თუ ბათუმში ებრაელები ე.წ. იტალიურ ეზოებში ცხოვრობდნენ, სადაც მათ გარდა დაახლოებით 6-8 ოჯახი მოსახლეობდა. სწორედ ვაჭრობა და საცხოვრებელი ადგილი უნდა ყოფილიყო მთავარი მიზეზიცა და მიზანიც სხვა უმცირესობათა ენების ათვისებისა.

საბჭოთა სკოლებში ქართული და რუსული ენები დაწყებითი კლასებიდანვე ისწავლებოდა, ასევე სავალდებულო იყო უცხო ენა მეოთხე კლასიდან. უცხო ენა იყო ინგლისური, გერმანული ან ფრანგული (გოგოლაშვილი 2009). მართალია, უცხო ენის ფლობის დონე სკოლის დასრულების შემდეგ არ იყო მაღალი, თუმცა ებრაელი მოსწავლეების მცირე ნაწილმა, ისევე როგორც სხვა არაებრაელმა მოსწავლეებმა იცოდნენ რომელიმე უცხო ენა.

ამდენად, ქართველ ებრაელთა ენები საქართველოში ცხოვრებისას იყო: ყველაზე მაღალი კომპეტენციით ქართული და ამასთანავე ქართულის რომელიმე დიალექტზე დამყარებული ებრაელთა ქართული ეთნოლექტი. ასევე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე მოსახლე ებრაელთა დიდმა ნაწილმა მაღალი კომპეტენციით იცოდა რუსული. მორწმუნე ებრაელთა ერთმა ნაწილმა იცოდა ებრაული. თვითშეფასების მიხედვით, საკმაოდ მაღალი კომპეტენციით. თუმცა ებრაულის ცოდნა უმეტესად პირდაპირპროპორციული იყო მათი რელიგიურობისა. ეს ცონდა უმეტესად ბიბლიის ებრაულს ან ლოცვებს ეფუძნებოდა. საქართველოს შესაბამის კუთხეში მაცხოვრებელმა ებრაელებმა ასევე საშუალო ან დაბალი კომპეტენციით იცოდნენ მეგრული, აფხაზური, ოსური, სომხური. განათლებულ ებრაელთა ძალიან მცირე ნაწილი ფლობდა საშუალო კომპეტენციით რომელიმე უცხო ენას (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული).

ენათა ცოდნის დონეები დამოკიდებული იყო ასევე საცხოვრებელ ადგილზე. მაგალითად, თბილისელმა, სოხუმელმა, ცხინვალელმა და ბათუმელმა ებრაელებმა უმეტესად მაღალი კომპეტენციით იცოდნენ რუსული (ყველა თაობამ). ქუთაისელი, ვანელი, საჩხერელი, კულაშელი, რაჭველი, ლეჩხუმელი და ა. შ. ებრაელთა ნაწილს რუსულის საშუალო კომპეტენციის დონე ჰქონდათ.

შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველი ებრაელებისათვის ქართული იყო საქართველოს მოსახლეობასთან და ოფიციალური ურთიერთობისათვის საკომუნიკაციო ენა, ებრაელთა ქართული ეთნოლექტი - ადგილობრივი იდენტობის ენა. ებრაული -ლოცვის, რელიგიური სწავლებისა და წმინდა ტექსტების ენა; რუსული - მოგვიანებით ებრაელთა ნაწილთან განათლების და ზოგ ქალაქებში ასევე საკომუნიკაციო ენად იქცა. აფხაზური, ოსური, სომხური, მეგრული - ეთნიკური თანაცხოვრების ენები.

აშქენაზები: საქართველოში არსებული ისტორიული, ლიტერატურული თუ სტატისტიკური მონაცემები ძირითადად ეხება ქართველ ებრაელებს და მათ შესახებ გვაწვდის უხვ ცნობებს. სხვა ეთნიკური ჯგუფების ებრაელებზე შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში რუსეთიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (უმეტესად რუსეთის გავლით) ჩამოსახლება დაიწყეს აშქემაზებმა. XIX საუკუნის სტატისტიკური აღწერის მიხედვით, 1897 წელს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთაგან (18,574) ორი მესამედი იყო აშქენაზი - უმეტესობა ექიმები, ფარმაცევტები, ფოტოგრაფები, მკერავები, მესაათეები, იუველირები, მშენებელი ინჟინრები, მწარმოებლები და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ აშქენაზები იმთავითვე უფრო მაღალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ, ვიდრე ქართველი ებრაელები (გულედანი 2019:25-26, ლომთაძე, გულედანი 2022);.

1902 წელს თბილისში დაარსდა რელიგიური სკოლა ქართველ ებრაელთა შვილებისთვის. ამავე პერიოდში დავით ბააზოვმა გამოსცა გაზეთი „ებრაული ხმა“, რომელიც ხელს უწობდა ებრაელი ახალგაზრდობის ებრაული იდენტობის განვითარებას. თბილისში 1920-იან წლებში თბილისში ფუნქციონირებდა სკოლა ივრითზე, ხოლო 1930-იანი წლების შუა რიცხვებამდე ებრაული სკოლა იყო იდიშის სწავლებით; 1910-იანი წლებიდან 1940-იანი წლების დასაწყისამდე თბილისში არსებობდა აშქენაზთა სამოყვარულო თეატრალური დასი. ამდენად, აშქენაზი ებრაელები უფრო ებრაული იდენტობის მატარებლები იყვნენ, ვიდრე ქართველი ებრაელები (ლომთაძე, გულედანი 2022).

1926 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 30,534 ებრაელი ცხოვრობდა, მათგან 9,637 - აშქენაზი. 1930-იანი წლების დასაწყისში უკრაინის კრიზისისა და შიმშილობის გამო აშქენაზების რიცხვი საქართველოში ისევ იზრდება. ისინი სახლდებიან თბილისისა და ბათუმის გარდა

ქუთაისში, ცხინვალში, ფოთში, სოხუმში, ძირითადად საქართველოს დიდ ქალაქებში. ქართველი ებრაელებისაგან განსხვავებით ისინი საცხოვრებლად მცირე რაიონულ ცენტრებსა და სოფლებს არ ირჩევდნენ. მომდევნო წლების სტატისტიკა აღარ გვაძლევს ცალკეულ რიცხვებს ქართველი და აშქენაზი ებრაელების შესახებ, მაგრამ 1989 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მხოლოდ თბილისში 13500 აშქენაზი ცხოვრობდა (ლევინი, კონსტანტინოვი 2025).

აშქენაზ ებრაელთა ძირითადი საკომუნიკაციო ენა როგორც ოჯახში, ასევე სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან იყო რუსული (უფროსი თაობის ნაწილი საოჯახო ენად იდიშს იყენებდა). განათლებასაც რუსულად იღებდნენ, სწავლობდნენ რუსულ ბაღებსა და სკოლებში, შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლას უმეტესად რუსეთში ან საქართველოში რუსულენოვან სექტორებზე აგრძელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა, რაც 1922 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა, აშქენაზ ებრაელთა დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ არ შეცვლილა. ისინი კვლავ რუსულენოვანები დარჩნენ, რასაც ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკაც. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1991 წელი).

ამდენად, თბილისში, სოხუმში, ცხინვალში, ბათუმში და ა.შ. მაცხოვრებელმა აშქენაზები მაღალი კომპეტენციით ფლობდნენ რუსულს, უფროსი თაობა საუბრობდა იდიშზეც. მათმა მცირე ნაწილმა იცოდა ქართული საშუალო ან დაბალი კომპეტენციით. განსხვავებული ვითარება იყო დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქუთაისში, ვანში, ზესტაფონში, ტყიბულში და ა. შ. მაცხოვრებელ აშქენაზებთან. მათ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან საკომუნიკაციოდ ქართულის შესწავლა მოუხდათ. აფხაზეთში, ცხინვალსა და ახალციხეში მცხოვრებმა აშქენაზებმა რუსულისა და იდიშის გარდა იცოდნენ დაბალი კომპეტენციით ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური.

მიზრახთა განშტოებანი

ლახლუხები: ქართულ სამეცნიერო კვლევებში არამეულენოვან ებრაელებზე ყურადღება მეოცე საუკუნის ბოლომდე თითქმის არ გამახვილებულა.

როგორც თ. კურტანიძე (2020) მიუთითებს, არამეულ ენაზე მოსაუბრე ქართველ ებრაელთა ჯგუფები XIX საუკუნეში გამოჩნდნენ საქართველოში, სადაც ამ თემმა მიიღო უცნაური სახელწოდება ლახლუხები. ესენი არიან ბასრადან (ბასრა მდებარეობს თურქეთს, ერაყს, სირიასა და ირანს შორის. XII საუკუნეში ამ რეგიონში დაახლოებით ასამდე ებრაული საზოგადოება არსებობდა) წამოსული ებრაელი მოსახლეობა, რომელთა ნაწილი საქართველოში ჩამოვიდა ურმიის (ირანი), კერძოდ, სალმასის (სალმასი იყო პატარა სოფელი სპარსეთში, ურმიის ტბის მახლობლად, რომელიც დასახლებული იყო ნეო-არამეულ ენაზე მოსაუბრე ებრაელებითა და ქრისტიანებით. სწორედ ამ დიალექტზე საუბრობდნენ საქართველოში მაცხოვრებელი ლახლუხი ებრაელები) და ვანის (ამჟამინდელი თურქეთი) მიმდებარე ტერიტორიიდან. თბილისში მცხოვრები არამეულენოვანი ებრაელების შესახებ ცნობები გვხვდება ვილნოში გამომავალ ებრაულ ჟურნალში "ჰაკარმელი", (1862 წელი). 1894 წელს ლ. ლოპოტინსკიმ გამოაქვეყნა სტატია კავკასიაში მცხოვრები ბასრელი ებრაელების შესახებ და აღნიშნა, რომ 1828 წელს, რუსეთ-სპარსეთის ომის შემდეგ, რამდენიმე ებრაული ოჯახი, სხვა ქრისტიან ასირიელ ოჯახებთან ერთად, ირანული აზერბაიჯანიდან გადავიდა კავკასიაში, ზოგი მათგანი დასახლდა თბილისში. ირინე გარბელის მიხედვით, სალმას საზოგადოება მთლიანად ევაკუირებულ იქნა 1916 წელს. ამ დროსა კიდევ ერთი ნაკადი მოადგა თბილისს. მათ თბილისის შემდეგ ჩამოაყალიბეს ახალი დასახლებები რუსთავში, მანგლისსა და კოჯორში. კრუპნიკი და კუპოვეცკი

აღნიშნავენ, რომ ლახლუხები ამიერკავკასიაში XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე სახლდებოდნენ, მათ შორის თბილისში, ბაქოში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. თბილისში მათ საკუთარი სინაგოგაც ჰქონდათ.

ლახლუხი ებრაელების ენობრივი რეპერტუარი ასახავდა როგორც მათ ახლო აღმოსავლურ წარმომავლობას, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან ადაპტაციას. ისტორიულად ქურთისტანელი ებრაელები ნეო-არამეულ დიალექტებზე საუბრობდნენ, რომლებიც მათი ძირითადი ენა იყო და რელიგიურ, კულტურულ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ატარებდა. ამასთან, რეგიონის მიხედვით იცოდნენ არაბული ან სპარსული ენა. მათ ეს ენები ჩამოიტანეს საქართველოში. საქართველოში მათ დიდხანს არ მოუწიათ ცხოვრება. თუმცა ეს დრო საკმარისი იყო აღნიშნული ენების შესანარჩუნებლად და ასევე საქართველოში იმ პერიოდში საჭირო რუსული და ქართული ენების შესასწავლად. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ლახლუხი ებრაელების ენობრივი რეპერტუარი გამდიდრდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში ისინი ოჯახებში საკუთარ ენაზე (ნეო-არამეული) საუბრობდნენ, მაგრამ ყველა მათგანმა იცოდა ასევე სპარსული. ამას მოწმობს მათი მონათხრობები, ზეპირი ისტორიები. საქართველოში ისწავლეს რუსული და ქართული. როგორც ირინე გარბელმა თავის წიგნში დაწერა: სალმასის დიალექტზე მოსაუბრე ყველა ადამიანი მრავალენოვანია, რადგან მშობლიური დიალექტის გარდა ისინი საუბრობენ აზერბაიჯანული თურქულით, ასევე ქურთულით და გარკვეულწილად სპარსულით. საქართველოში მცხოვრები სალმას ხალხის დიალექტზე გავლენა მოახდინა რუსულმა ენამ. მცირე პერიოდი არ იყო საკმარისი, რომ ქართული გავლენები ასახულიყო. ბავშვები დადიოდნენ რუსულ ან იშვიათად ქართულ სკოლებში (გარბელი).

30-იანი წლების ბოლოს ქურთისტანელი ებრაელების ნაწილი გადაასახლეს თბილისიდან ბაქოში. მაგრამ ამ მოსახლეობის ყველაზე დიდი იძულებითი გადასახლება მოხდა 1951 წელს ალმაატაში. 50-იანი წლების ბოლოს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ამ მოსახლეობის მცირე ნაწილი თბილისში დაბრუნდა. ძირითადად, ის ხალხი, რომლებსაც თბილისში ოჯახები და ნათესავები ჰყავდათ. უმეტესობა დარჩა ყაზახეთში, სადაც მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ. ნაწილი მოსახლეობა კი 70-იანი წლებიდან მოყოლებული ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად.

დღესდღეობით საქართველოში არამეულ ენაზე მოსაუბრე ებრაული საზოგადოება აღარ სახლობს. შემორჩენილია მხოლოდ შერეული ოჯახების რამდენიმე შთამომავალი და მათ, როგორც წესი, ნეო-არამეული არ იციან.

ამდენად, საქართველოში ცხოვრებისას ე.წ. ლახლუხ ებრაელებთან ახალარამეული, უფრო ზუსტად, სალმასის დიალექტი გამოიყენებოდა ოჯახის, თემის შიდა ურთიერთობის, კულტურული იდენტობის ენად. ზოგი ოჯახი წარმოშობის მიხედვით გამოიყენებდა სპარსულს ან არაბულს. საქართველოში ცხოვრების პერიოდში მათი განათლებისა და ფართო საზოგადოებასთან საკომუნიკაციო ენა გახდა რუსული, თბილისელმა ლახლუხებმა ასევე კარგად ისწავლეს ქართული.

მთიელი ებრაელები: მეორე დიდი განშტოება მიზრახთა ჯგუფისა არიან საქართველოში მაცხოვრებელი მთიელი ებრაელები, რომლებსაც ქართველები ყუბელ ებრაელებს ეძახდნენ. საქართველოში მთიელი ებრაელები გამოჩნდნენ XIX ს. ბოლოსა და XX საუკუნეებში და უმეტესად შერეული ქორწინებისა და ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. მთიელი ებრაელები ისტორიულად ცხოვრობდნენ კავკასიის მთიან რეგიონებში, მათ შორის

დაღესტანსა და აზერბაიჯანში, კერძოდ, მთიან ყუბანში. საქართველოში სწორედ აქედან ჩამოვიდა ყველაზე მეტი ებრაელი და ამიტომაც იყო, რომ ჯუხურად მოლაპარაკე ყუბანიდან თუ კავკასიის სხვა რეგიონებიდან მიგრირებულ მთიელ ებრაელებს ერთი ზოგადი სახელით - ყუბელი ებრაელის სტატუსით აერთიანებდნენ (მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი საერთოდ არ იყო ყუბანიდან). მათი ენობრივი რეპერტუარი მათი იდენტობის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა. ისინი ტრადიციულად ოჯახებში საუბრობდნენ ჯუხურზე (ან ებრაელთა-თათურზე), ებრაული შეინარჩუნეს ძლიერი სიმბოლური და ლიტურგიული როლით, ხოლო რუსული მნიშვნელოვანი გახდა საბჭოთა პერიოდში. ქართული მხოლოდ ძალიან დაბალი კომპეტენციით შეისწავლეს, რადგან მათი უმეტესობა ძირითადად ქალაქებში მოსახლეობდნენ და ქართული სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან საკომუნიკაციოდ არ სჭირდებოდათ.

ამდენად, საქართველოს მთიელი ებრაელებისათვის ჯუხური იყო მხოლოდ მთიელ ებრაელებთან და ოჯახში საკომუნიკაციო ენა, რუსული იყო სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და ასევე განათლების ენა, რელიგიისა და წმინდა ტექსტების ენა.

საქართველოს ებრაელთა ენობრივი მრავალფეროვნება ისრაელში რეპატრიაციის შემდგომ

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ებრაელები არაებრაელ მოსახლეობასთან საკმაოდ მეგობრულად და ჰარმონიულად თანაცხოვრობდნენ, მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილი იმაზე ადრე გაუჩნდათ, ვიდრე ისრაელის სახელმწიფო დაარსდებოდა. ამიტომ ყოველი ახალი წელი (ებრაული როშაშანა) მათთვის იწყებოდა გამოთქმით: **הבאה בירושלים**(be Shana haba'a biruShalaim) "მომავალ წელს იერუსალიმში" და ყოველ შაბათს იმეორებდნენ ფრაზას: **..אם אשכחך ירושלים תשכח ימיני**('im eshqaxex ierushalaim tishqax iamini) "თუ დაგივიწყო იერუსალიმ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა" (გულედანი, ლომთაძე 2019:123-124).

ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ (1948 წელი), მიუხედავად საბჭოთა რეჟიმისა მათ დაიწყეს საუბარი „ისრაელის ალიაზე" (ისრაელში ასვლა, რაც ისრაელში რეპატრიაციას ნიშნავდა). 1967 წელს საქართველოდან 18 ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად ისრაელში, რასაც მოგვიანებით დიდი 70-იანი და 90-იანი წლების ალია მოჰყვა (გულედანი, ლომთაძე 2019:123-124)
.

ისრაელში რეპატრირებულმა ებრაელებმა შექმნეს მეტ-ნაკლებად კომპაქტური დასახლებები სხვადასხვა ქალაქში. ებრაელთა ერთი ნაწილი რუსეთში (უმეტესად მოსკოვსა და სანტ-პეტერბურგსი), უკრაინაში (ოდესა, კიევი) გადავიდა საცხოვრებლად. ნაწილი კი ისრაელიდან ევროპაში - უმეტესად ავსტრია (ვენა), ბელგია (ანტვერპენი), ასევე კანადასა (ტორონტო, მონტრეალი) და აშშ (ნიუ-იორკი) წავიდა და დასახლდა.

ისრაელში 70-იან და 80-იან წლებში რეპატრირებული ებრაელების უფროსი თაობის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეისწავლა ივრითი. მათთვის ისეთივე ენობრივი იერარქია ისეთივე დარჩა, როგორიც საქართველოში ჰქონდათ იმ განსხვავებით, რომ დაბალი კომპეტენციით დაემატა ივრითი, უფრო ზუსტად, მათი ეთნოლექტს დაემატა მეტი რაოდენობით ივრითიდან შესული სიტყვები (კვირიკაშვილი, ლომთაძე 2024:1-14). საშუალო და უმცროსი ასაკის წარმომადგენლებისთვის კი მთავარი ენა გახდა თანამედროვე ებრაული (ივრითი) ან იმ ქვეყნის სახელმწიფო ენა, სადაც ცხოვრობენ (გერმანული, ფრანგული, ინგლისური...); უფროსი და საშუალო თაობის ერთმა ნაწილმა შესაბამისად შეინარჩუნა და იცის იგივე ენები, რომლებსაც საქართველოში ფლობდნენ: ქართული, რუსული, ებრაული, იდიში, ნეო-არამეული, ჯუხური. დღემდე უმეტესად მოხუცები ან საშუალო თაობის ნაწილი ფლობს და თაობებს თითქმის აღარ

გადასცემს ქართულს, რუსულს, სპარსულს, ნეო-არამეულს, ჯუხურს, იდიშს, აფხაზურს, ოსურს, სომხურს, მეგრულს.

მიგრაციის შემდეგ ფუნქცია შეეცვალა ქართულსა და რუსულს. ეს ენები გახდა ქართველ ებრაელთა მემკვიდრეობითი, ისტორიული მეხსიერების ენები და თანდათან გადავიდა დომინანტური ენის ფუნქციიდან მემკვიდრეობის ენის ფუნქციაში.

განსხვავებული ვითარებაა იდიშთან დაკავშირებით. იდიში ისრაელსა და აშშ-ში ძირითადად ხასიდურ თემებშია მნიშვნელოვანი. საქართველოს აშქენაზები ხასიდები არასოდეს ყოფილან. ამიტომ იდიში მათთან შედარებით მარტივად იკარგება.

ისრაელში მცხოვრები ზოგიერთი ბასრული წარმოშობის ებრაული თემი, ბოლო დროს განსაკუთრებით ამაყობს თავიანთი უნიკალური და უძველესი ისტორიითა და ენით და ცდილობენ მის გადარჩენას. მიუხედავად ამისა, ქურთისტანელი ებრაელების ენობრივი მრავალფეროვნება (სპარსული, არაბული, ქურთული, ნეო-არამეული, ქართული) თითქმის ისტორიად იქცა. ყაზახეთში მაცხოვრებელი მოსახლეობა ოჯახებში კვლავ ლაპარაკობს ნეო-არამეულად, მაგრამ ახალგაზრდების უმეტესობა ამ ენას აღარ სწავლობს და მხოლოდ მათმა მცირე ნაწილმა იცის წინაპრების ენა. 1980-იანი წლების შუაში დაახლოებით 2,000 ლახლუხი ცხოვრობდა თბილისსა და ალმა-ატაში ერთად, ხოლო შემდგომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ისრაელში წავიდა (Электронная еврейская энциклопедия ОРТ).

ემიგრაციის შემდეგ, განსაკუთრებით ისრაელში, შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, ბევრი მთიელი ებრაელი ებრაულზე ან დომინანტურ ადგილობრივ ენებზე გადაერთო. თუმცა, უფროსი თაობები კვლავ ინარჩუნებენ ჯუხურის ცოდნას, რაც ამ ენას თაობათა და დიასპორული იდენტობის ნიშნად აქცევს. დღეისათვის ჯუხურის ცოდნა დამოკიდებულია ოჯახურ წარმომავლობაზე, სოციალურ ჩართულობასა და შემდგომ დემოგრაფიულ ცვლილებებზე. თუმცა უმეტეს ადგილას ის საფრთხეში მყოფია.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი ასახავს როგორც მემკვიდრეობის მდგრადობას, ასევე მრავალფეროვან სოციოლინგვისტურ გარემოსთან ადაპტაციას.

დასკვნა

საქართველოს ებრაელთა ენობრივი რეპერტუარის კვლევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეთნიკურობას, მიგრაციის დროს, განათლების დონეს, რელიგიას, ებრაული მოსახლეობის კონცენტრაციის ხარისხი.

საქართველოში ცხოვრების განმავლობაში ებრაელები გამოირჩეოდნენ ენობრივი მრავალფეროვნებით, რაც დაკავშირებული იყო მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან.

ქართველი ებრაელების ძირითადი ენა საქართველოში უმეტესად ქართული იყო. თემის შიდა საკომუნიკაციო ენად ქართულის ებრაული ეთნოდიალექტი მიიჩნევა. ებრაული ბოლომდე დარჩა რელიგიისა და ლოცვის ენად. რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მათ დიდ ნაწილს რუსულზე გადასვლის საშუალება მისცა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლე ებრაელების კეთილმეზობლური დამოკიდებულებითა და პროფესიით (ვაჭრობით) უნდა აიხსნას ის, რომ აფხაზეთის, ცხინვალის, ახალციხისა და სამეგრელოს ტერიტორიებზე მოსახლე ებრაელებმა დაბალი ან საშუალო კომპეტენციით იცოდნენ აფხაზური, ოსური, სომხური, მეგრული.

აშქენაზი ებრაელებისათვის მშობლიური ენა უმეტესად იყო რუსული. უფროსი თაობის აშქენაზი ებრაელების ნაწილი მშობლიურ ენად იდიშს მიიჩნევდა. მათ შედარებით დაბალი

კომპეტენციით იცოდნენ ქართული, უმეტესად სასაუბრო. თუმცა ქართულის ცოდნის დონე განსახლების ადგილზეც იყო დამოკიდებული. ცხინვალსა და აფხაზეთში მოსახლეებმა დაბალი კომპეტენციით ოსური და აფხაზურიც იცოდნენ.

ლახლუხების საოჯახო ენა იყო ნეო-არამეული (სალმასის დიალექტი), უფროსმა თაობამ ასევე იცოდა სპარსული და ზოგჯერ არაბული. საქართველოში მათ საკმაოდ კარგად შეისწავლეს რუსულიცა და ქართულიც.

მთიელი, ე.წ. ყუბელი ებრაელების მშობლიურ ენად საქართველოში რუსული ითვლებოდა, თუმცა ბევრა მათგანი საოჯახო ენად იყენებდა ჯუხურს, ხოლო ლოცვის ენად ებრაულს.

ისრაელსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მიგრირების შემდეგ იერარქიის სათავეში მოექცა იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენა, რომელშიც ცხოვრობენ: ისრაელში ებრაული, ამერიკაში ინგლისური, ავსტრიაში - გერმანული, რუსეთში -რუსული და ა. შ. თუმცა მათმა ნაწილმა კარგად იცის ივრითიც. ქართული და რუსული, ასევე ზოგჯერ იდიში, ჯუხური, ნეო-არამეული დარჩა მემკვიდრეობით ენად. აფხაზური, ოსური, მეგრული, სომხური, სპარსული მთლიანად დაიკარგა.

საუკუნეთა მიჯნაზე გაზრდილმა მიგრაციებმა, ინგლისურის როგორც ლინგვა ფრანკას ზეწოლამ და აქტიურმა გლობალიზაციამ ძალიან შეამცირა და თითქმის იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარ ხდება ახალ თაობაზე მემკვიდრეობითი ან საოჯახო ენების გადაცემა. ამიტომ ეს ენები და ენობრივი ნაირსახეობები დღეს უმეტესად საფრთხეში მყოფია.

ლიტერატურა:

ბაბალიკაშვილი ნ. 1971 ებრაული ეპიგრაფიკა საქართველოში (XVIII-XIX საუკუნეები), დისერტაციის ავტორეფერატი,თბილისი.

კ. დუმბაძე, ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში, ჯევანმარდი 2, თბილისი 1979, გვ. 28-37

Габриелова А.Г. 1969 - Образец арамеикой речи салмазсских есреев, Восточная филологиа, Тбилиси

გოგოლაშვილი გ. 2009 -ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა). თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

გულედანი ლ, კურტანიძე თ. 2014. -Guledani & Kurtanidze 2014: Lali Guledani & Tamar Kurtanidze. “Pronouns and Pronominal Suffixes in the Neo-Aramaic of Jews from Salmas.” *The 10th Congress of the EAJS*, Paris, 20–24 July.

გულედანი ლ. 2019 აშქენაზები საქართველოში, მესამე საერთაშორისო კონფერენციის “სემიტოლოგიური ძიებანი”თეზისები, თბილისი 25-26

გულედანი ლ. ლომთაძე თ. 2019 Guledani, Lali, and Tamar Lomtadze,2019 ‘Going Up/Aliyah to Israel (On the Structure and Origin of the Expression)’, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 13/03 (2019), 123–29

გულედანი და სხვები 2022. ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (გულედანი ლ. **ენოხი რ. კვირიკაშვილი ა. ლომთაძე თ** (რედაქტორი), ჯანჯღავა ც, ჯაიანი რ.) თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Enoch, Reuven. 2008. Tavsili: The Traditional Oral Translation of the Bible in Judeo Georgian (Genesis). Jerusalem: Magnes Press.

კვირიკაშვილი ა. ლომთაძე თ. 2024. Kvirikashvili, A. & Lomtadze, T. 2024. “Lexical Influences of Modern Hebrew on Judeo-Georgian”. *International Journal of Linguistics and Communication,* 12(1), pp. 1-14

კურტანიძე თ. 2020 - Kurtanidze T., Neo-Aramaic speaking jews in Georgia. ." *The 10th Congress of the EAJS*, Paris, 20–24 July.

Крупники И., Куповецки М. 1988 – «*Лахлухи» — курдистанские евреи в СССР*, Советская этнография, 1988, №2, გვ. 102–111.

ლევინი ზ. კონსტანტინოვი ვ. 2025 - Levin & Konstantinov 2025: Zeev Levin & Viacheslav Konstantinov. Native, but Unique: Jews of Georgia, Azerbaijan, Uzbekistan and Their Neighbors Revealed Through Their Twentieth Century Demographic Profiles." *Central Asian Survey*, 44/2: 162-182.

ლომთაძე თ. 2005, ქუთაისური ქართული. ქუთაისი. აწსუ გამომცემლობა.

ლომთაძე თ. 2018 - Lomtadze 2018: Tamari Lomtadze. ""Russicisms in Judeo-Georgian Speech*". Languages. Cultures. Translation*, Issue 6. Selected Papers from the International Conference *Languages. Cultures. Translation*. Moscow: Moscow State University Press, 329-335

ლომთაძე თ. ენოხი რ. 2019. Lomtadze, Tamar, and Reuven Enoch , 'Judeo-Georgian Language as an Identity Marker of Georgian Jews', *Journal of Jewish Languages*, 7 (2019), 1–26

ლომთაძე თ. 2020 ქართველ ებრაელთა ლინგვისტური რეპერტუარი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XLVIII.

ლომთაძე თ. 2021 - Lomtadze 2021. "Russophone Georgian Jews." *New Trends in Slavic Studies:* Selected Papers from the 5th International Conference *Andalusian Slavic Studies Workdays*, 322-331.

ლომთაძე თ. 2022 - Lomtadze 2022. "The Languages of Ethnic Minorities in Post-Soviet Georgia." *Minorities in the Post-Soviet Space Thirty Years After the Dissolution of the USSR*. Eds. Paola Bocale, Daniele Brigadoi Cologna, & Lino Panzeri. "Ledizioni" LediPublishing, 145-161.

ლომთაძე თ. გულედანი ლ. 2022 - Lomtadze, Tamar, and Lali Guledani, Linguistic Competencies of the Ethnic Subgroups of the Jews in Georgia". IJLC8 Jewish Languages Conference, Jerusalem 08/02-04/.2022

ლომთაძე თ. კვირიკაშვილი ა. 2024 - Lomtadze, Tamari, and Ani Kvirikashvili, 'The Dual Status of Judeo-Georgian', *Forum for Linguistic Studies*, 6/5 (2024), 83–93

Лопотинский Л.1894- Евреиско-Арамеиские тексты, Заметка к ним. Сборник материалов для описания местней племион Кавказа, Тифлис

მამისთვალაშვილი ეю 1995. ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ. 22

პაპისმედოვი ი. 1945 - საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემის ისტორიისათვის, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 3, თბილისი

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ 1, რედაქტორი აკად. გ. მელიქიშვილი, თბილისი, 1970, გვ. 452-453

ქართლის ცხოვრება - ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 15-16.

ქართლის ცხოვრება - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 4, თბილისი, 1973, გვ. 53.

ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში. თბილისი 1970

Tamar Lomtadze
Iv.Javakhishvili State University, Tbilisi, Gerogia
e-mail: tamrikolomtadze@uahoo.com
David Botera (Boterashvili)
Haifa State University, Haifa, Israel
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.03
SJIF 2026: 8.679

Multilingualism among Jewish Communities in Georgia[1]

Abstract

The current work has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), grant No FR-25-4446 Documenting Judeo-Georgian II

The Jews living in Georgia belonged to different ethnic groups: Georgian Jews, Ashkenazi Jews, and branches of Mizrahi Jewry, including Kurdish Jews, known as Lahluh, and Mountain Jews, known as Quban Jews. Naturally, they spoke different languages, which they selectively used and continue to use in different situations, depending on their ethnic origins and living environments.

For Georgian Jews, the primary language in Georgia was generally Georgian. They used Georgian for internal communication within the community, while Hebrew was the language of religion and prayer. Russification policies facilitated the shift to Russian for a large proportion of the community. Jews living in Abkhazia, Tskhinvali, Akhaltsikhe, and Samegrelo had varying levels of proficiency in Abkhaz, Ossetian, Armenian, and Mingrelian.For Ashkenazi Jews, the first language was generally Russian, while older generations also spoke Yiddish alongside Russian. Their proficiency in Georgian was relatively limited, and their level of competence depended partly on their place of residence. Those living in Tskhinvali and Abkhazia also spoke Ossetian and Abkhaz, respectively, with varying degrees of proficiency. For the Kurdish Jews, known as Lahluh, who constitute one branch of Mizrahi Jewry, the household language was Neo-Aramaic (the Salmas dialect). Older generations also spoke Persian and, in some cases, Arabic. In Georgia, they acquired a fairly good command of both Russian and Georgian. For Mountain Jews, known as Quban Jews, Russian was considered their native language in Georgia, although many used Juhuri as their household language and Hebrew for prayer. Following migration to Israel and other countries, the official language of the country of residence assumed the dominant position in the linguistic hierarchy: Hebrew in Israel, English in the United States, German in Austria, Russian in Russia, and so on. Members of these communities living in different countries also have a good command of Hebrew. Georgian and Russian, as well as, in some cases, Yiddish, Juhuri, and Neo-Aramaic, have remained heritage languages. However, the dominance of English as a lingua franca and the accelerating processes of globalization have considerably reduced the transmission of heritage and household languages to younger generations, and such eventually transmission has almost ceased. Abkhaz, Ossetian, Mingrelian, Armenian, and Persian have been entirely lost.

Keywords: Multilingualism, Jewish Communities in Georgia

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა

[1] The current work has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), grant No FR-25-4446 Documenting Judeo-Georgian II"